ნათია არაბული

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სპეციალისტი (ქიმია)

მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი

სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“

მასტერ კლასი: შეფასების რუბრიკები ქიმიაში

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. ამ მიზნით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი პედაგოგებს მათი საჭიროებებიდან გამომდინარე სთავაზობს მრავალფეროვან აქტივობებს.
აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს მასწავლებლების უკვე არსებული ცოდნის სისტემატიზაციას და მათთვის სიახლეების მიწოდებას როგორც საგნობრივი, ასევე მეთოდოლოგიის მიმართულებით.

კონკრეტულად აღნიშნული მასტერკლასის ფარგლებში განხილული იქნება სხვადასხვა ტიპის ამოცანების ამოხსნის შეფასების რუბრიკები. აღნიშნული თემის შერჩევა განაპირობა საკითხის აქტუალობამ და ქართულ ენაზე არსებული რესურსების სიმწირემ.

მასტერკლასი წარიმართება დისკუსიის რეჟიმში, მონაწილეები მაქსიმალურად იქნებიან ჩართულნი პროცესში, მათ დაურიგდებათ სამუშაო ფურცლები, საკითხავი მასალა. საკითხის ასეთ ჭრილში განხილვა ხელს შეუწყობს სისტემური აზროვნების განვითარებას და საკითხის სიღრმისეულად გაანალიზებას.

მასტერკლასის პროცესში მონაწილეები განიხილავენ:

- ქიმიის ამოცანის ამოხსნას, როგორც ქიმიის სწავლების ერთ-ერთი ხერხს (სწავლება ამოცანებით);
- სხვადასხვა ტიპის ამოცანების ამოხსნისა და შეფასების რუბრიკების ნიმუშებს და ამ ნიმუშების ანალოგიურ ამოცანებს დამოუკიდებელი მუშაობისათვის;

ამოცანის ამოხსნის პროცესში სწავლების დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების შესაძლებლობებს.

სამიზნე ჯგუფი: 7-12 კლასის ქიმიის პედაგოგები

ხანგრძლივობა: 4 სთ

სესიების რაოდენობა: 2 (სესიის ხანგრძლივობა - 2 სთ)